ხელშეკრულება № 86

18 დეკემბერი 2018 წ.

ქ. თბილისი

ერთის მხრივ შპს „თვითმმართველობის მაცნე"-ს გაზეთის რედაქცია, შემდგომში „რედაქციად" წოდებული მისი დირექტორის ნინო კალანდაძის სახით და მეორეს მხრივ, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალიტეტის მერის ბესიკ ფარცვანიას სახით, შემდგომში წოდებული „დამკვეთად" ხელმძღვანელობენ რა ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობით, დადეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ერთჯერადად საინფორმაციო-მომსახურეობის გაწევას. (CPV 79820000 –ბეჭდვასთან დაკავშირებული მომსახურებები)

2.ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს.

2.2.ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.ანგარიშსწორება

3.1.ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა-ლარი; ბ) ანგარიშსწორების ფორმა-უნაღდო; წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

3.2.შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს მიმწოდებელს ღირებულება ინვოისის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.მხარეთა უფლებამოვალეობები

4.1.შემსყიდველი ვალდებულია: გადაუხადოს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება: მიიღოს ზემოთ აღნიშნული საქონელი. შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის მიზეზით სახელშეკრულებო ვადების დარღვევის შემთხვევაში გააუქმოს ხელშეკრულება ან მიიღოს საქონელი და არ აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული ხარჯები, თუ მისი ხარისხი არ შეესაბამება სათანადო სტანდარტებს.

4.2.მიმწოდებელი: ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი და დაგენილ ვადებში დაიცვას ხელშეკრულების ყველა მოთხოვნა. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი.

5. შესრულების ვადები

5.1.მომსახურების მიწოდების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 20 დეკემბრიდან 2018 წლის 25 დეკემბრამდე.

6.მხარეთა შორის დავათა გადაწყვეტა

6.1.მხარეთა შორის უთანხმოების შემთხვევაში დავათა გადაწყვეტა მოხდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ფორსმაჟორული სიტუაციები:

7.1. მხარეები არარიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვა მოვლენები, აგრეთვე ომები და სხვა საომარი მოქმედებები, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გრემოებათა დასრულების შემდეგ.

8.სხვა პირობები

8.1.არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისიუფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

8.2.მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებით და რისკით.

8.3.ხელშეკრულება შედგენილიაქ ართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი

პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულენოვან.

8.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ

8.5. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 25 იანვრის ჩათვლით.

9.მხარეთა იურიდიული მისამართები და ანგარიშსწორების ანგარიშები

„მიმწოდებელი"

შპს „თვითმმართველობის მაცნე" ს/ნ. 443567828
ქ. თბილისი, მ. მაჭავარიანის ქ.№63. კორპ 1 ბ №62
საბანკო რეკვიზიტები: სააქციო საზოგადოება
„საქართველოს ბანკი"
ცენტრალური ფილიალი (კოდი): BAGAGE22
მიმღების დასახელება: თვითმმართველობის მაცნე
ანგარიშის ნომერი: **GE35BG0000000783135500**

შპს „თვითმართველობის მაცნე"-ს

დირექტორი: /ნინო კალანდაძე/

"შემსყიდველი"

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია
მის: ქ.წალენჯიხა სალიას ქ. 5, II სართული
571 17 00 17
საბანკო რეკვიზიტები:
ს/ კ 242739248
სახაზინო ერთიანი ანგარიშის სახაზინო კოდი
300393459

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის

მერი ზესიკ ფარცვანია